განმარტებითი ბარათი

სამშენებლო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ,, შპს მშენებელი 2015“ (ს/კ 400148425) კუთვნილ, ქ. თბილისი, სადმელის ქუჩის N45-ში მდებარე, არსებულ 432,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (საკ. კოდი N01.12.03.015.033), რომლის 381.00 კვ.მ-ზე ვრცელდება საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3), ხოლო ნაწილზე, 51.00 კვ.მ-ზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/05/2015წ. N**1893803** გადაწყვეტილებით, განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები განისაზღვრა შემდეგნაირად:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1): 0.5
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2):1.5
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3): 0.2

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 4 მარტის მარტის N10 სხდომის, რეკომენდაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერის 31.03.2016წ. N1–555 ბრძანებით აღნიშნული მიწის ნაკვეთს განაშენიანების კოეფიციენტი კ1 განესაზღვრა - 0.6, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 - 1.7.

ვინაიდან აღნიშნული ბრძანებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდა განხორციელდა არა უმეტეს 20%-ით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის“ მე-4 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ გვეკუთვნის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდა.

შპს ,,მშენებელი 2015“-ის

დირექტორი: _____ / ვასილი მამაცაშვილი /

შპს „მშენებელი 2015“ * ქ. ქუთაისი 2015 * 400148425 „MSHENEBELI 2015“ LLC

18.06.2016